

ტესტი ისტორიაში

III ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ტესტის ყოველი დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 60.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 2 საათი და 40 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!



ინსტრუქცია დავალებებისათვის № 1-15.

თითოეულ შეკითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენ მიერ არჩეული პასუხის მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცელზე სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა.შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

(1) 1. სხვა მიზეზებთან ერთად, რამ განაპირობა ფინიკიაში ქალაქ-სახელმწიფოების ჩამოყალიბება ძვ.წ.

III ათასწლეულის შუა ხანებში?

ა) მდიდარი ბუნებრივი რესურსების არსებობამ და ვაჭრობის განვითარებამ;

ბ) საირიგაციო მიწათმოქმედების მძლავრმა განვითარებამ და მოსავლიანობის ზრდამ;

გ) ჰიქსოსების თავდასხმების მოგერიებისა და თავდაცვის აუცილებლობამ;

დ) ლათინთა პოლისების მხრიდან კონკურენციის გაზრდამ.

(1) 2. რომელი მსჯელობაა მართებული აქემენიანთა იმპერიის ჩამოყალიბების შესახებ?

- ა) აქემენიანთა დინასტიის დამაარსებელმა დარიოს I-მა ახალი რელიგია გაავრცელა ირანულ ტომებში და ახალი იმპერია შექმნა;
- ბ) კავადმა ეგვიპტის დაპყრობით ირანის სახელმწიფოში ახალ პოლიტიკასა და იმპერიის ჩამოყალიბებას ჩაუყარა საფუძველი;
- გ) აქემენიანთა დინასტიის წარმომადგენელმა კიროს II-მ დაამარცხა მიდიის მეფე და ახალი იმპერიის მმართველი გახდა;
- დ) ელიტური სამხედრო შენაერთის მეთაურმა ქსერქსემ სამხედრო გადატრიალება მოაწყო და ირანში ახალ საიმპერატორო დინასტიას მისცა დასაბამი.

(1) 3. რა მოიმოქმედა ვახტანგ გორგასალმა ანტიირანული აჯანყების დაწყების წინ?

ა) შეწყვიტა მძევლების გაგზავნა;

ბ) მოაკვლევინა ვარსკენ პიტიახში;

გ) ილაშქრა ვაჰან მამიკონიანის წინააღმდეგ;

დ) ჩრდილოეთ კავკასიიდან პაქანიკთა ჯარი გადმოიყვანა.

(1) 4. რომელი ინფორმაციაა მართებული ფრანკთა სამეფოს შესახებ?

- ა) ფრანკებმა ჩრდილო აფრიკის სანაპიროზე ძლიერი სამეფო ჩამოაყალიბეს;
- ბ) რომის პაპმა პიპინ მოკლე გაქრისტიანების შემდეგ ფრანკთა პირველ იმპერატორად აკურთხა;
- გ) ფრანკთა სამეფოს პირველი მეფეები მეროვინგთა დინასტიის წარმომადგენლები იყვნენ;
- დ) რავენა ახლადჩამოყალიბებული ფრანკთა სახელმწიფოს დედაქალაქად გამოცხადდა.

(1) 5. რომელი მოვლენა არ უკავშირდება თოღრულ-ბეგის სახელს?

ა) ირანის პროვინციების დაპყრობა;

ბ) ბაღდადის აღება;

გ) სულთნის ტიტულის მიღება;

დ) სელჩუკებში მაზდეანობის გავრცელება.

(1) 6. რომელი მსჯელობაა მართებული XIV საუკუნეში გამართული ნიკოპოლის ბრძოლის შესახებ?

- ა) ადრიანოპოლის დაუფლების შემდეგ ოსმალებს სერბები და ბერძნები დაუპირისპირდნენ, მაგრამ დამარცხდნენ;
- ბ) კონსტანტინოპოლის აღების შემდგომ ოსმალებს სლავების კოალიციური ლაშქარი დაუპირისპირდა და მათი წინსვლა შეაჩერა;
- გ) კოსოვოს ველზე ოსმალების გამარჯვებიდან რამდენიმე წელიწადში ევროპულ სახელმწიფოთა ჯარი ოსმალებს შეებრძოლა, მაგრამ დამარცხდა;
- დ) ოსმალები უნგრეთში შეიჭრნენ, მაგრამ უნგრელებს პოლონელები დაეხმარნენ და მტერი დაამარცხეს.

(1) 7. რა უკავშირდება სეფიანთა ირანის შაჰის, თამაზ I-ის მოღვაწეობას?

- ა) კონსტანტინოპოლის შეთანხმების დარღვევა და კასპიისპირეთის დაკავება;
- ბ) ქართლის მეფის ტყვეობიდან გათავისუფლება და თბილისში დაბრუნება;
- გ) წარმატებული ლაშქრობა ინდოეთში და დედაქალაქ კალკუტის აღება;
- დ) ოსმალეთთან ხანგრძლივი ომის დასრულება და ამასიის ზავის დადება.

(1) 8. ვინ იყო ინგლისის უკანასკნელი მონარქი ტიუდორების დინასტიიდან?

ა) ჰენრი VIII;

ბ) ელიზაბეთ I;

გ) მერი I;

დ) ჩარლზ I.

(1) 9. რა უკავშირდება ვახტანგ VI-ის მოღვაწეობას?

- ა) კანონთა კრებულის შემუშავება;
- ბ) პირველი ქართულენოვანი გაზეთის გამოცემა;
- გ) თბილისში თეატრის დაარსება;
- დ) ბერძენი მაღაროელების ჩამოსახლება.

(1) 10. რომელი მოვლენა უკავშირდება პრუსიის მეფის ფრიდრიხ II-ის სახელს?

ა) სამხრეთ ამერიკელი კოლონისტების სამხედრო და ფინანსური მხარდაჭერა;

ბ) ავსტრია-უნგრეთის დამარცხება და ჩრდილოეთ გერმანიის კავშირის ჩამოყალიბება;

გ) რუსეთთან და შვედეთთან ერთად ლიტვის დიდი სამთავროს დანაწილება;

დ) შვიდწლიან ომში მონაწილეობა და ევროპაში პოზიციების გამტკიცება.

(1) 11. რომელი ფაქტია მართებული ნაპოლეონის ხელისუფლებაში ყოფნის შესახებ?

- ა) იმპერატორად კურთხევამდე ის პირველი კონსულის თანამდებობას იკავებდა;
- ბ) ჟირონდისტების ხელისუფლების დამხობის შემდეგ ის დირექტორიის წევრი გახდა;
- გ) იაკობინელების ხელისუფლების დასრულების შემდეგ მან თავი დიქტატორად გამოაცხადა;
- დ) სახელმწიფოს მეთაურად არჩევამდე ის კონვენტის თავმჯდომარე იყო.

(1) 12. რომელი მსჯელობაა მართებული იტალიის გაერთიანების შესახებ?

- ა) ყველაფერი ჯუზეპე მაძინის გეგმის მიხედვით წარიმართა, რაც ძირითადად საფრანგეთის წინააღმდეგ ჯუზეპე გარიბალდის არმიის წარმატებულ მოქმედებას ემყარებოდა;
- ბ) ძალიან მნიშვნელოვანი იყო კამილო კავურის როლი, ხოლო საბოლოოდ გაერთიანებული იტალიის სახელმწიფოს მეფე ვიტორიო ემანუელე II გახდა;
- გ) უმთავრეს პრობლემას ავსტრიის მიერ ოკუპირებული პაპის ოლქი წარმოადგენდა, მაგრამ რომის პაპის დახმარებითა და საფრანგეთის მხარდაჭერით მაინც მოხერხდა რომის გათავისუფლება;
- დ) ნეაპოლის სამეფოს მცდელობა, გაეერთიანებინა აპენინის ნახევარკუნძულზე არსებული სამეფო-სამთავროები, პრუსიის აქტიური დახმარებით საბოლოოდ წარმატებით დასრულდა.

(1) 13. რა სახელწოდებით არის ცნობილი სამშვიდობო გეგმა, რომელიც აშშ-ს პრეზიდენტმა წარადგინა პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე?

ა) უილსონის თოთხმეტი პუნქტი;

ბ) ტრუმენის დოქტრინა;

გ) მარშალის გეგმა;

დ) მონროს დოქტრინა.

(1) 14. პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებული რომელი ორი დიდი სახელმწიფოს პოზიციამ იქონია გავლენა საქართველოს წევრობასთან დაკავშირებით ერთა ლიგის გადაწყვეტილებაზე?

ა) აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის;

ბ) დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის;

გ) საფრანგეთისა და ჩინეთის;

დ) ჩინეთისა და აშშ-ს.

(1) 15. რომელი ინფორმაციაა მართებული 1991 წლის 31 მარტს საქართველოში ჩატარებული რეფერენდუმის შესახებ?

ა) მოსახლეობას უნდა დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია, სურდა თუ არა, რომ საქართველოში ჩატარებულიყო მრავალპარტიული არჩევნები;

ბ) ამომრჩევლებს პასუხი უნდა გაეცათ კითხვაზე, ეთანხმებოდა თუ არა საბჭოთა კავშირის, როგორც ერთიანი სახელმწიფოს შენარჩუნებას;

გ) მოსახლეობას უნდა გადაეწყვიტა, უნდა გაგრძელებულიყო თუ არა 1978 წელს მიღებული კონსტიტუციის მოქმედება;

დ) მოქალაქეებს უნდა ეპასუხათ კითხვაზე, სურდათ თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე.

ინსტრუქცია დავალებებისათვის № 16-18.

ქრონოლოგიურად დაალაგეთ ისტორიული მოვლენები და პიროვნებები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ დასახელებული მოვლენის ან პიროვნების შესაბამისი ციფრი. პირველ უჯრაში იწერება ის ციფრი, რომლითაც ყველაზე ადრე მომხდარი მოვლენაა აღნიშნული და ა.შ. შესაბამისად, ბოლო, მესამე უჯრაში ის ციფრი ჩაიწერება, რომლითაც ყველაზე გვიან მომხდარი მოვლენა აღინიშნა. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

(1) 16. ქრონოლოგიურად დაალაგეთ დიაოხთან და კოლხასთან დაკავშირებული მოვლენები:

1. არგიშთი I-ის ლაშქრობა დიაოხში
2. სარდური II-ის ლაშქრობა კოლხაში
3. კიმერიელებისა და სკვითების შემოსევა

(1) 17. ქრონოლოგიურად დაალაგეთ დავით აღმაშენებლის მეფობისას მომხდარი მოვლენები:

1. რუის-ურბნისის საეკლესიო კრება
2. ანისის გათავისუფლება სელჩუკთაგან
3. დიდგორის ბრძოლა

(1) 18. ქრონოლოგიურად დაალაგეთ XX საუკუნეში მომხდარი მოვლენები:


1. ანტისაბჭოთა გამოსვლები პრაღაში
2. ვარშავის ხელშეკრულების გაუქმება
3. ანტისაბჭოთა აჯანყება უნგრეთში

ინსტრუქცია დავალებისათვის № 19.

თქვენ წინაშეა ერთი კონკრეტული ისტორიული მოვლენის აღმწერი ორი სხვადასხვა ტიპის წყარო: ბრძოლის სქემა და ტექსტი. შეაჯერეთ ორივე წყაროში არსებული ინფორმაცია და უპასუხეთ დასმულ შეკითხვებს მხოლოდ წყაროებში მოცემული ინფორმაციის მიხედვით. ყოველ კითხვას გაეცით კონკრეტული და ამომწურავი პასუხი. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 6.

დავალება და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე





სამხრეთის პირობითი აღნიშვნები		
	ჯარის წინსვლა	
	ჯარის უკანდახევა	
	ტევტონთა კავალერია	
	ტევტონთა ქვეითები	
	ულრიხ ფონ იუნგინგენის ბანაკი	
	პოლონელთა კავალერია	
	ლიტველთა კავალერია	
	თათართა კავალერია	
	პოლონეთის მეფის ბანაკი	
	ულრიხ ფონ იუნგინგენის ბანაკი	
	ულრიხ ფონ იუნგინგენის დალუპვის ადგილი	
	პოლონელთა დალუპვის ადგილი	
	ლუპოლდ ფონ კოკერიცის დალუპვის ადგილი	
	ქვემეზი	
	სოფელი გრიუნვალდი	
	სოფელი ფაულენი	
	ულრანი ტყე	

1409 წელს ტევტონთა ორდენსა და ლიტვის დიდ სამთავროს შორის დაპირისპირება განახლდა, რომელიც ომში გადაიზარდა. პოლონეთის მეფე ვლადისლავი ლიტველებს მიემხრო. მომდევნო წელს პოლონელთა და ლიტველთა ლაშქარი მოკავშირეებთან ერთად ტევტონთა წინააღმდეგ დაიძრა. ტევტონთა ჯარს ორდენის დიდი მაგისტრი იუნგინგენი მეთაურობდა, პოლონელთა და ლიტველთა ლაშქარს - მეფე ვლადისლავი, აქვე იმყოფებოდა ლიტვის დიდი მთავარი ვიტაუტასიცი. 15 ივლისის დილას ტევტონებმა სამხედრო ტექნიკიდან მოწინააღმდეგის მიმართულებით ცეცხლი გახსნეს, რასაც მათ მარცხენა ფლანგზე მტრის კავალერიის შეტევა მოჰყვა, ორდენის ჯარმა მარცხენა ფლანგზე უპირატესობა მოიპოვა და მტერი უკუაგდო. ადგილმდებარეობის თავისებურების გამო ტევტონებს გაქცეულების დევნა უჭირდათ და ვერ ხედავდნენ მათ, ამიტომ ყურადღება ცენტრისაკენ გადაიტანეს, სადაც გააფთრებული ბრძოლა გაჩაღდა. ტევტონებმა ისარგებლეს პოლონელთა მოკავშირეების გაქცევით და მათ ცენტრს მარცხნიდანაც შეუტეს. ბრძოლაში პირადად დიდი მაგისტრი ჩაერთო. ორდენის ერთ-ერთმა რაინდმა კოკერიცმა მეფე ვლადისლავის მოკვლაც კი განიზრახა. პოლონელებმა გაუძლეს იერიშს ცენტრში, ორდენის ჯარმა ვერც მარჯვენა ფლანგზე მიაღწია წარმატებას. ამ დროს ბრძოლის ველზე პოლონელთა გაქცეული მოკავშირეებიც დაბრუნდნენ.

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

კითხვები:

(1) **19.1.** კონკრეტულად რომელი სოფლის სიახლოვეს მდებარეობდა ტევტონთა ორდენის დიდი მაგისტრის იუნგინგენის ბანაკი ბრძოლის საწყის ეტაპზე?

(1) **19.2.** კონკრეტულად რა იგულისხმება „ადგილმდებარეობის თავისებურებაში“, რის გამოც ტევტონების მარცხენა ფლანგს მოწინააღმდეგის დევნა გაუჭირდა და ვერ ხედავდა გაქცეულებს?

(2) **19.3.** რომელი ეროვნების ჯარისკაცებისაგან შემდგარმა კავალერიამ მიიტანა იერიში ტევტონთა მარცხენა ფლანგზე ბრძოლის საწყის ეტაპზე?


(1) **19.4.** კონკრეტულად რა მოიმოქმედეს ბრძოლის ველზე დაბრუნებულმა პოლონელთა მოკავშირეებმა, მას შემდეგ, რაც ბრძოლაში ჩაებნენ?

(1) **19.5.** კონკრეტულად რა ინფორმაცია ადასტურებს, რომ კოკერიცმა თავისი განზრახვა ვერ ადასრულა?


ინსტრუქცია დავალებისათვის № 20.

ყურადღებით გააანალიზეთ ილუსტრაციაზე მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ დასმულ კითხვებს. ყოველ კითხვას გაეცით კონკრეტული და ამომწურავი პასუხი. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 5.

დავალება და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე



1 9 1 7



კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

კითხვები:

(2) **20.1.** მმართველობის რა ფორმა დასრულდა ილუსტრაციაზე ასახული ინფორმაციის მიხედვით? თქვენი პასუხი დაასაბუთეთ ილუსტრაციის მიხედვით.


(2) **20.2.** საზოგადოების რომელი ფენების წარმომადგენლები არიან გამოსახულნი ილუსტრაციის მარცხენა მხარეს და რაზე მიუთითებს მათი გამოსახვა?


(1) **20.3.** რა ეწოდება ისტორიულ მოვლენას, რომლის დასაწყისიც ასახულია ილუსტრაციაზე?

ინსტრუქცია დავალებისათვის № 21.

დავალებაში მოცემულია გარკვეული ეპოქის ისტორიული რუკა. უპასუხეთ დასმულ კითხვებს, ხოლო პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 8.

რუკა და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე





კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

კითხვები:

(1) **21.1.** რა ეწოდებოდა ქართულ სამეფოს, რომელშიც განვითარდა რუკაზე აღნიშნული სამხედრო მოქმედებების ძირითადი ნაწილი?

(1) **21.2.** რა ფერის ისრით არის ასახული რუკაზე ჭარ-ბელაქნელთა ლაშქრობა ქართულ სამეფოში?

(2) **21.3.** რუკის მიხედვით, რა მოიმოქმედეს ქართველებმა ჭარ-ბელაქნელთა თავდასხმის საპასუხოდ და, რუკის მიხედვითვე, რა მოიმოქმედეს ამის შემდეგ ჭარ-ბელაქნელებმა?

(2) **21.4.** რუკის მიხედვით, რა იყო ლურჯი ფერის ისრით აღნიშნული ლაშქრობის მიზანი და რუკაზე არსებული რა ინფორმაცია ადასტურებს, რომ ლაშქრობა წარუმატებელი იყო?

(2) **21.5.** იმ სამეფოს გარდა, სადაც განვითარდა საბრძოლო მოქმედებები, დაასახელეთ კიდევ ორი ქართული სამეფო, რომელთა ტერიტორია მთლიანად ან ნაწილობრივ არის გამოსახული რუკაზე.

ინსტრუქცია დავალებებისათვის № 22 და 23.

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტები და შეასრულეთ დავალებები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. გაითვალისწინეთ, არგუმენტი უნდა იყოს კონკრეტული, აზრი კი - ნათლად ჩამოყალიბებული და დასრულებული. თითო არგუმენტი ფასდება 1 ქულით. თითოეული დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

დავალება 22.

საქართველოს მეფე გიორგი III-მ აჯანყებული ძმიშვილის დასჯა გადაწყვიტა. დიდებულთა ნაწილი დაეთანხმა მეფეს, ნაწილი კი წინააღმდეგი იყო.

მოიყვანეთ არგუმენტი, რომლითაც დემნა უფლისწულის დასჯის მომხრე საკუთარ მოსაზრებას განამტკიცებდა.

მოიყვანეთ არგუმენტი, რომლითაც დემნა უფლისწულის დასჯის მოწინააღმდეგე საკუთარ მოსაზრებას განამტკიცებდა.

დავალება 23.

1941 წელს იაპონიის სამხედრო და პოლიტიკური ხელმძღვანელობა განიხილავდა პერლ-ჰარბორზე საავიაციო თავდასხმის გეგმას. ერთი ნაწილი მხარს უჭერდა ამ იდეას, მეორე ნაწილი კი არ ეთანხმებოდა.

მოიყვანეთ არგუმენტი, რომლითაც პერლ-ჰარბორზე თავდასხმის მომხრე საკუთარ მოსაზრებას განამტკიცებდა.

მოიყვანეთ არგუმენტი, რომლითაც პერლ-ჰარბორზე თავდასხმის მოწინააღმდეგე საკუთარ მოსაზრებას განამტკიცებდა.

ინსტრუქცია დავალებისათვის № 24.

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი დავალება და შეაფასეთ მასში მოცემული ისტორიული პროცესის მნიშვნელობა. გაითვალისწინეთ, არგუმენტი უნდა იყოს კონკრეტული, აზრი კი - ნათლად ჩამოყალიბებული და დასრულებული. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

დავალება 24.

451 წელს გალიაში, დღევანდელი საფრანგეთის ტერიტორიაზე, კატალაუნის ველზე ბრძოლა გაიმართა.

კითხვები:

(1) **24.1.** დაასახელეთ ამ ისტორიული მოვლენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი.

(1) **24.2.** შეაფასეთ ამ შედეგის მნიშვნელობა ევროპის ისტორიისათვის. აუცილებლად მოიყვანეთ არგუმენტი საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად.

ინსტრუქცია დავალებისათვის №25.

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ისტორიული დოკუმენტი, გაიაზრეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 17.

ისტორიული დოკუმენტი და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე



შეთანხმება მეფე ერეკლესა და მეფე სოლომონს შორის

ჩვენ მეფე ერეკლე და მეფე სოლომონი, სრულიად უგანათლებულესი იმპერატორის ბრძანებით ურთიერთშორის მეგობრობის ვალდებულებას ვაწესებთ ქრისტიანთა მტრის წინააღმდეგ სამოქმედოდ და ქვემოთ ჩამოთვლილ პუნქტებში ვაცხადებთ:

ყოველგვარი წყენა, რაც ერთმანეთს შორის აქამდე გვქონდა, საუკუნოდ დავივიწყოთ.

იმპერატორის და ყველა ქრისტიანთა მტერს, რომელიც არის ოსმალეთი და ყველა მის მოკავშირეს, ვინც არ უნდა იყოს, სადაც შეგვეძლება მთელი ჩვენი ძალითა და შესაძლებლობით შევებრძოლოთ.

თუ ჩვენს ქვეყანაში მტერი შემოიჭრება, ერთმანეთს სწრაფად ჯარით დავებმართოთ და

გადასვლა კითხვებზე: [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#)

ყოველმხრივ შეძლებისდაგვარად შემწეობა აღმოვუჩინოთ.

თუ რომელიმე ჩვენგანს შეწევნა დასჭირდება და ჯარით დახმარებას ითხოვს, რომელ ქვეყანაშიც იქნება ჯარი, იმისმა მმართველმა მისცეს ჯარს სურსათი და ყოველივე, რაც ჯარს სჭირდება. თუ ვინცობაა ჩვენ ორივენი მტრის ქვეყანაში შევიჭრებით, მაშინ ყოველმა მეფემ საკუთარი ჯარი სურსათითაც და სხვა რამითაც თავად უზრუნველყოს.

დღეის შემდგომ ჩვენ წინაშე დანაშაულის ჩამდენი, ვინც არ უნდა იყოს: ყმა, თავადი, აზნაური, გარდა ერთმანეთის ნებით გადასახლებულებისა, დაუყოვნებლივ ურთიერთს უნდა დავუბრუნოთ.

ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ თუ ჩვენს სამეფოში შფოთი და უწესრიგობა დაიწყება, ვისგანაც არ უნდა

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე

იყოს, მაშინვე ერთმანეთს მივეშველოთ და რითაც კი შესაძლებელი იქნება, ისე დავაწყნაროთ ვითარება. თუნდაც ჩვენი ძმა ან შვილი იყოს, თუ უსამართლოდ მოქმედებდეს, ისიც დავაწყნაროთ და მკაცრად მოვექცეთ, იმიტომ, რომ ეს უბედურება იმ ქვეყანაში მალე დასრულდეს და აღარ გაგრძელდეს.

ვინაიდან საჭირო დროს საერთო მტრის წინააღმდეგ ერთობლივად უნდა გამოვიდეთ და ჯერ სათანადო რაოდენობის ჯარის გამოყვანა არ შეგვიძლია, ყოველივე ამას გადავდებთ უკეთესი დროისთვის. უნდა ვეცადოთ, რომ ერთმანეთში სიყვარულითა და ერთობით ყოველივე კარგად ავასრულოთ.

გადასვლა კითხვებზე: [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#)

ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტები ჩვენი ქვეყნის მშვიდობისა და სიკეთისათვის არა მხოლოდ ჩვენი მეფობისას იმოქმედებს, არამედ ვბრძანებთ, რომ ჩვენმა შთამომავლებმა და მემკვიდრეებმაც აუცილებლად და უცვლელად ყოველივე კარგად აღასრულონ. რაც არ უნდა გაუჭირდეთ, ეს პუნქტები არ დაარღვიონ, რადგან ეს ურთიერთსიყვარულისა და მეგობრობის პუნქტები დავადგინეთ და ჩვენ, ყველამ, და ჩვენმა შთამომავლებმაც დაურღვევლად უნდა დავიცვათ და გულმოდგინედ ვიქცეოდეთ და გავისარჯოთ.

ბრწყინვალეო ბატონო გრაფო, უმდაბლესად გთხოვთ, რომ ეს პუნქტები მის იმპერატორობით უდიდებულესობას, ჩვენს მფარველს, გასასინჯად მიართვათ.

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე

ეს პუნქტები ჩვენ აქ მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის წარმომადგენლის, კაპიტან – ლვოვის თანდასწრებით ჩვენი ბეჭდებით დავამტკიცეთ და ჩვენი ხელმოწერით განვამტკიცეთ და თქვენთან გამოსაგზავნად კაპიტან ლვოვსვე მივმართეთ.

გადასვლა კითხვებზე: [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#)

1773 წლის 27 ივლისი სოფელ შავდარას სიახლოვეს. მეფე ერეკლე, მეფე სოლომონი.

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

კითხვები:

(1) **25.1.** დოკუმენტში არსებული რა ინფორმაცია ადასტურებს, რომ ხელშეკრულების დადებამდე ქართველ მეფეებს ერთმანეთთან გარკვეულწილად დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ?

(1) **25.2.** საერთაშორისო ასპარეზზე განვითარებულმა და ქართული სამეფოებისთვის მნიშვნელოვანმა რომელმა კონკრეტულმა მოვლენამ შეუწყო ხელი ამ ხელშეკრულების ხელმოწერას?

(1) **25.3.** თქვენი აზრით, რატომ არ არის განსაზღვრული შეთანხმების მოქმედების ვადა?

(1) **25.4.** თქვენი აზრით, რატომ იყო დაინტერესებული სხვა სახელმწიფოს მმართველი ქართველ მეფეთა შორის კარგი ურთიერთობის არსებობით?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [1-ლ გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-2 გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-3 გვერდზე](#)

(1) **25.5.** დოკუმენტში არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე, რას გულისხმობს „ერთმანეთის ნებით გადასახლებული“?

(1) **25.6.** დოკუმენტის მიხედვით, „ერთმანეთის ნებით გადასახლებულთა“ გარდა, კიდევ რა მიზეზით გადადიოდნენ ერთი სამეფოს მკვიდრნი მეზობელ სამეფოში საცხოვრებლად?

(1) **25.7.** დოკუმენტის მიხედვით, მეფეები „საჭირო დროს საერთო მტრის წინააღმდეგ ერთობლივად უნდა გამოვიდნენ“, მაგრამ რატომ ვერ ახერხებენ ამას დოკუმენტის შედგენის დროს?

(2) **25.8.** დოკუმენტის მიხედვით, ვისი ბრძანებით და რომელი სახელმწიფოს წინააღმდეგ სამოქმედოდ დაიდო წარმოდგენილი ხელშეკრულება?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [1-ლ გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-2 გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-3 გვერდზე](#)

- (2) **25.9.** დოკუმენტის მიხედვით, ვის და რით უნდა მოემარაგებინა დასახმარებლად მოსული ჯარი?
- (2) **25.10.** დოკუმენტის მიხედვით, გარეშე მტრის თავდასხმის გარდა, კიდევ რა შემთხვევაში უნდა დახმარებოდნენ მეფეები ერთმანეთს და რატომ?
- (2) **25.11.** დოკუმენტის ბოლოს ვის მიმართავენ მეფეები უშუალოდ და რა თხოვნით?
- (2) **25.12.** დოკუმენტის მიხედვით, დაასახელეთ იმპერატორის წარმომადგენელი, რომელიც ესწრებოდა დოკუმენტის ხელმოწერას და დოკუმენტის მიხედვითვე, რა იყო მისი ფუნქცია?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [1-ლ გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-2 გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-3 გვერდზე](#)